



ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის

სახელმწიფო უნივერსიტეტი

ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი

# საბაკალავრო პროგრამა “ბიოლოგია”



[www.tsu.edu.ge](http://www.tsu.edu.ge)

თბილისი

2010 წელი

ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის ბიოლოგიის დეპარტამენტი გთავაზობთ საბაკალავრო პროგრამას  
**“ბიოლოგია” პროგრამა უზრუნველყოფს:**

- ◆ ფუნდამენტური ბიოლოგიური დისციპლინების საბაზისო ცოდნას;
- ◆ შრომის ბაზარზე ორიენტირებული მიმართულებების საბაზისო ცოდნას (ბიომეცნიერებები, ბიომედიცინა,

საბაკალავრო პროგრამის “ბიოლოგია” შედეგის დროს გათვალისწინებული იქნა:

- ◆ დარგის სწავლებისა და კვლევის ტრადიცია საქართველოში;
- ◆ მსოფლიოს წამყვანი უნივერსიტეტების გამოცდილება (სასწავლო პროგრამები);
- ◆ ბოლონის პროცესის მოთხოვნები (Tuning-ის პროექტის მასალები) და ბრიტანეთის ხარისხის უზრუნველყოფის სააგენტოს მიერ შემუშავებული და რეკომენდირებული დოკუმენტები.

**პროგრამის დასასიათება:**

საბაკალავრო პროგრამა “ბიოლოგია” ფუნდამენტურ და გამოყენებით ბიოლოგიურ დისციპლინებს აერთიანებს. პროგრამის სტრუქტურა ძირითადი სპეციალობის (major) გარდა დარგში ცოდნის გაღრმავების (სასპეციალიზაციო სავალდებულო/არჩევითი მოდულები) ან დამატებითი სპეციალობის (minor) ათვისების შესაძლებლობას იძლევა.

**პროგრამა მოიცავს სამ სასპეციალიზაციო არჩევით მოდულს:**

- ◆ ბიომეცნიერებები;
- ◆ ბიომედიცინა;
- ◆ ბიომრავალფეროვნება და გარემოს დაცვა


ბიოლოგიის დეპარტამენტის ბაკალავრიატში აღნიშნული სასპეციალიზაციო მოდულების დანერგვა პირველად ხდება;



**სწავლის შედეგი:**

- ◆ ბიოლოგიის ბაკალავრი შეიძენს თეორიულ საბაზისო განათლებას და პრაქტიკულ ცოდნას ბიოლოგიაში.
- ◆ დაეუფლება სპეციალიზაციას ბიომეცნიერებების, ბიომედიცინის ან ბიომრავალფეროვნებისა და გარემოს დაცვის მიმართულებით;
- ◆ შეიძენს ბიოლოგიურ, ფიზიკურ-ქიმიურ და სამედიცინო ლაბორატორიებში მუშაობის პრაქტიკულ უნარჩვევებს;

**დასაქმების პერსპექტივა**

საბაკალავრო პროგრამა “ბიოლოგია” გთავაზობთ პროფესიული წინსვლის შესაძლებლობას და დასაქმების ფართო არჩევანს. აღნიშნული პროგრამა აერთიანებს ფუნდამენტურ და გამოყენებით ბიოლოგიურ დისცი-





სამკურნალო პროფილაქტიკური, სანიტარულ-ეპიდემიოლოგიური და დავადაბათა კონტროლის დაწესებულებები

კვების პროდუქტების ხარისხის კონტროლის ლაბორატორიები

სადიაგნოსტიკო ცენტრები

ფარმაცევტული დაწესებულებები და საწარმოები



მიკრო-ბიოლოგიური ექსპერტიზის სამსახური

შესაბამისი პროფილის სამეცნიერო-კვლევითი ლაბორატორიები

ბუნებრივი რესურსების მართვისა და ეკოლოგიური ზედამხედველობის სამსახურები

საბაჟო და გარემოს დაცვის შესაბამისი სამსახური



ეკოტურიზმის სფერო

ერთვნიული პარკები და ნაკრძალები

ზოოლოგიური და ბოტანიკური ბაღები

ბიომრავალფეროვნების კონსერვაციის საკითხებზე მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციები და გარემოსდაცვითი პროგრამების მქონე კერძო კომპანიები



**სწავლის გაგრძელების პერსპექტივა:**

- ◆ საბაკალავრო პროგრამის "ბიოლოგია" კურსდამთავრებულები მიიღებენ საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ბაკალავრის (ბიოლოგია) ხარისხს და მოიპოვებენ როგორც საქართველოს, ასევე საზღვარგარეთის წამყვანი უმაღლესი სასწავლებლების მაგისტრატურაში სწავლის გაგრძელების უფლებას.

**საკონტაქტო ინფორმაცია**

ბიოლოგიის დეპარტამენტის უფროსი და მოლექტორი ბიოლოგიის მიმართულების სრული პროფესორი, საბაკალავრო პროგრამის „ბიოლოგია“-

კოორდინატორი ნანა კოტრიკაძე

უნივერსიტეტის ქ. 13

ტელ: 30-32-13

ელ.ფოსტა: nanuli.kotrikadze@tsu.ge